სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04197

ქ. თბილისი 2 აპრილი 2018

სტუ-ის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის უფროსის, პროფ. ო. ზუმბურიძის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 2 აპრილის №6 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია

დამტკიცებულია საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს მიერ
2018 წლის 02 აპრილის № 01-05-04/97
დადგენილებით.

თბილისი

2018 წ.

1. ზოგადი დებულებები:

დოკუმენტი შემუშავებულია იმ მიზნით, რომ საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა აპრობირებული მეთოდების დაცვით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართვით, შეძლოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ეფექტური თანმიმდევრული პოლიტიკის წარმოება, რომელიც სტუ-ს მიერ აღიარებული ფუნდამენტური ღირებულებების გათვალისწინებით, შესაძლებელს გახდის დაწესებულების მისიის განხორციელებას.

1.1 წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში – სტუ) სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გრძელვადიანი გეგმის დამხმარე დოკუმენტს, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტის წინაშე ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში დასმული პრობლემების ოპტიმალური გადაწყვეტის გზების მოძიებასა და მათ აღსრულებასთან დაკავშირებულ აქტივობებს

1.2 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტის ძირითადი დებულებები ეყრდნობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიული განვითარების ორიენტირებს, რომელიც ითვალისწინებს ევროპული საგანმანათლებლო გარემოს ძირითად პარადიგმებს, რომელთაც საზოგადოება იცნობს, როგორც ბოლონიის, ლისაბონის, კოპენჰაგენის პროცესსა და ლისაბონის კონვენციას და ამ დოკუმენტებით გათვალისწინებულ ძირითად ვალდებულებებს;

1.3 ვინაიდან სტუ-ს მისიისა და მიზნების შესაბამისად, ინტერნაციონალიზაციის პროცესი უნივერსიტეტის სტრატეგიულ განვითარებაში უპირობო პრიორიტეტს წარმოადგენს, აღნიშნული დოკუმენტი შექმილია, როგორც სტუ-ს სტრატეგიული გეგმის დამხმარე დოკუმენტი, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი თანმიმდევრული პოლიტიკის გასატარებლად.

2. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები:

საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის განვითარების მიმართულებით სტუ-ს ძირითად მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია და გლობალური კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, უნივერსიტეტის საერთაშორისო ხილვადობის ამაღლება და გაძლიერება ინტერნაციონალიზაციის კუთხით.

ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია:

2.1. ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე უზრუნველყოფილი იქნას უნივერსიტეტის ცნობადობის მნიშვნელოვანი ამაღლება და დამკვიდრება, როგორც ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლების მომწოდებული უმაღლესი დაწესებულებისა, რომელიც გამოირჩევა სწავლის მაღალი ხარისხით, სწავლის და სწავლების პრესტიჟულობით, ინოვაციური პროგრამებითა და სწავლის ინოვაციური მეთოდებით, კურსდამთავრებულთა პროფესიის მიხედვით დასაქმების მაღალი მაჩვენებლებით, აკადემიური პერსონალის მაღალი აკადემიური დონით, მოწინავე საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებსა და პროგრამებში მონაწილეობის მაღალი შესაძლებლობებით;

2.2. საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება;

2.3. ინტერანაციონალიზაციის მაღალი სტანდარტების მანიშნებელი ისეთი კრიტერიუმების გამუდმებული განვითარება და ხელშეწყობა, როგორიცაა სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობა, ერთობლივი პროგრამები, ერთობლივი საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროექტების შემუშავება/განხორციელება და საერთაშორისო კვლევებში ჩართულობა და ა.შ.;

2.4. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის აქტიური მხარდაჭერა ინტერნაციონალიზაციის კუთხით და განხორციელებული აქტივობების ეფექტურობის რეგულარული შეფასება და ანალიზი;

2.5. ადგილობრივ და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორული ურთიერთობების გაფართოება და განვითარება;

2.6. მსოფლიოს წამყვან - საგანმანათლებლო და სამეცნიერო - კვლევით ინსტიტუტციებთან და საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელებთან ახალი პარტნიორული ურთიერთობების დამყარება და არსებული ურთიერთობების განვითარება;

2.7. საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისა და ჩართულობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა;

2.8. სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდა;

2.9. უცხოელი სტუდენტებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მოზიდვა და მოზიდვის მექანიზმების მუდმივი სრულყოფა;

2.10. სტუდენტთა ინფორმირება და მათ ჩართულობის უზრუნველყოფა სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე, სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა;

2.11. საზაფხულო და ზამთრის სკოლების ორგანიზების ხელშეწყობა;

2.12. სამივე საფეხურის უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ხელშეწყობა;

2.13. უცხოური ენის სწავლების, მათ შორის ელექტრონული ფორმების განვითარების ხელშეწყობა;

2.14. საერთაშორისო რანჟირების პრესტიჟულ სისტემებში უნივერსიტეტის სარეიტინგო მაჩვენებლების გაუმჯობესების ხელშეწყობა;

2.15. ზემოაღნიშნული ღონისძიებების თანმიმდევრულად განხორციელებაზე ზრუნვა და ინტერნაციონალიზაციის შედეგების საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების მექანიზმების მუდმივი სრულყოფა.

3. სტუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მართვის ძირითადი კომპონენტები:

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ეფექტური განხორციელებისთვის გასატარებელი ღონისძიებები ითვალისწინებს ისეთი საქმიანი პროცესების მართვის კომპონენტებს, როგორიცაა:

3.1. ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სწორი დაგეგმარება.

- უნდა არსებობდეს მკაფიოდ განსაზღვრული და გაწერილი ერთი, სამი და შვიდწლიანი გეგმები და განისაზღვროს სხვა რესურსები გათვალისწინებული მიზნების მიღწევისათვის;
- შემდგომში გართულებების თავიდან აცილებისა და მომავლის მეტ-ნაკლებად ზუტი პროგნოზირების მიზნით, გეგმები უნდა ითვალისწინებდეს შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზს;
- დაგეგმვის პროცესის გასაუმჯობესებლად აუცილებელია აღსრულების მექანიზმების ეფექტური ფუნქციონირება და ამ მიმართებით, ისეთი ინსტრუმენტების გათვალისწინება, როგორიცაა: მიზნის მიღწევისათვის საჭირო დეტალური აქტივობების დაგეგმა კონკრეტულ დროში, შედეგების გამოსახვის ინდიკატორების შედგენა (ციფრები, დიაგრამები, შედეგების სტატისტიკა და ა.შ.);
- უნდა განისაზღვროს მიზნების მისაღწევად საჭირო კონკრეტული რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური);
- წინასწარ შესამუშავებელია სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების წესი და ინდიკატორები.

3.2. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შემდგომი იმპლიმენტაციის კარგი ორგანიზება.

- გათვალისწინებული უნდა იყოს ძირითადი საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული ერთეულების ჩართულობის მაღალი ხარისხი;
- უნდა განისაზღვროს ჩართული და პასუხისმგებელი პირების წრე, შესაბამისი კომპეტენციითა და უნარებით (იგულისხმება ენის კარგი ცოდნა,

თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობის უნარი, კარგი საკომუნიკაციო თვისებები, პროექტების მართვის გამოცდილება, სწავლისა და ინოვაციების ძიების უნარი და ა.შ.);

- უნდა გაიწეროს აქტივობის ფორმები/მეთოდიკა: (შეკრებების ინტენსივობა, მუშაობის ფორმატი, შუალედური ანგარიშები და ა.შ.).

3.3. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მართვა.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მართვის ინდიკატორებად წინასწარ განსაზღვრულია ისეთი მექანიზმები, როგორიცაა:

- მუდმივი თანამშრომლობის აუცილებლობა;
- მართვის თითოეულ რგოლში პასუხისმგებელი და საკომუნიკაციო პირების არსებობა; ეფექტური კომუნიკაცია;
- მკაფიოდ განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი;
- იურიდიული დოკუმენტებისა და შესაბამისი აქტების არსებობა;
- ქართული და უცხოენოვანი საინფორმაციო რესურსების არსებობა;
- შესაბამისი სტატისტიკა;
- მოტივაციის თანამედროვე მექანიზმების სრულყოფა;
- მომსახურების სერვისები მობილობის სტუდენტებისათვის;
- საერთაშორისო პროგრამები და მართვის პროცესის თანმხლები სხვა დეტალები.

3.4. ხარისხის კონტროლის ეფექტური მექანიზმების არსებობა.

რეგულარული კვლევების საფუძველზე უნდა შეიქმნას კვალიფიციური თემატური კითხვარები და შემუშავდეს გამოკითხვის შესაბამისი ფორმები. ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მაღალი სტანდარტების მიღწევის მექანიზმი შეიძლება ითვალისწინებდეს ბიზნესპროცესების მართვის ისეთ აპრობირებულ მექანიზმებს, როგორიცაა მაგალითად:

- „SWOT“ ანალიზის (ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები დ ასაფრთხეები) შედგენა;

- **დემინგის ციკლი - PDCA** - მართვის აპრობირებული მოდელის ერთ-ერთი ფორმა, საქმის კონტროლისა და განვითარებისთვის ოთხი საფეხურით (დაგეგმე-გააკეთე-შეამოწმე-იმოქმედე);
- **„ექვსი სიგმა“** - ბიზნესის მართვის სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს ბიზნესპროცესების მართვისას ნებისმიერი ხარვეზისა ან შეცდომის პოვნასა და მის აღმოფხვრას.

4. **დასკვნითი დებულებები**

4.1. დოკუმენტი ძალაშია სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან;

4.2. აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული საქმიანობის შესრულებისა და მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის ვინაობა განისაზღვრება სტუ-ს რექტორის შესაბამისი ბრძანებით;

4.3. დოკუმენტში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია სტუ–ს შესაბამისი ადმინისტრაციული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად;

თანამდებობა, სახელი, გვარი

თარიღი / /